საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა

სასამართლოში გატარებული რეფორმის შედეგად, უზენაესი სასამართლო ერთგვაროვანი პრაქტიკის განმსაზღვრელი და სამართლებრივი ნორმის დამდგენი სასამართლო გახდა, ამიტომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა, როგორც სასამართლო პროცესში მონაწილე პირებისთვის, ასევე ზოგადად, იურისტების ფართო წრეებისთვის. განმარტება, რომელიც განასხვავებს თაღლითობისა და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების საფუძველზე მსჯავრდების შემთხვევებს, უზენაესმა სასამართლომ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა.

ამბავი, რომელიც საფუძვლად დაედო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, წყალტუბოს რაიონში მოხდა. მსჯავრდებულებმა დ.ყ-შვილმა და ბ.ბ-ძემ გამოძახებით დაიქირავეს ტაქსი, რომლითაც იმგზავრეს წყალტუბოს რაიონში, სადაც ტაქსის მძღოლის მოთხოვნაზე — გადაეხადათ მგზავრობის დანახარჯი – 55 ლარი, მას განუცხადეს, რომ თანხა არ ჰქონდათ და სანაცვლოდ დაუტოვეს დ.ყ-შვილის პლასტიკური ვიზა-ბარათი მისი ზუსტი პერსონალური მონაცემებით, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ დაზარალებული ნახა ბ.ბ-ძემ და გადასცა მგზავრობის ღირებულების ნაწილი.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულთა ამ ქმედებას ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობის კვალიფიკაცია მისცა. უზენაესმა სასამართლომ კი განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათ მისცა სამართლებრივად აშკარად არასწორი შეფასება, როდესაც მსჯავრდებულების ქმედება დააკვალიფიცირა როგორც თაღლითობა, ჩადენილი ჯგუფურად, ვინაიდან თაღლითობის შემადგენლობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ დამნაშავე მოტყუების გზით ეუფლება სხვის კუთვნილ ნივთს, რომელსაც მოტყუებული პირი თავისი ნებით გადასცემს ან თავისი ნებით თმობს უფლებას მასზე. მოცემულ შემთხვევაში კი არც ბ.ბ-ძე და არც დ.ყ-შვილი არ დაუფლებია დაზარალებულის კუთვნილ ფულს ან რაიმე სხვა ნივთს, ასეთი რამ დადგენილი არ არის. მათ დაზარალებულს არ გადაუხადეს ტაქსით მგზავრობის ღირებულება, ანუ ის თანხა, რომელიც პ.ჯ-იანს მათგან უნდა მიეღო, მაგრამ ვერ მიიღო. მოცემულ შემთხვევაში, ქონების ანუ ავტომანქანის მესაკუთრემ განიცადა ქონებრივი ზიანი იმ მხრივ, რომ მისი კუთვნილი ტაქსით ისარგებლეს მსჯავრდებულებმა, მგზავრობის ღირებულება კი არ გადაუხადეს, ხოლო მოტყუებას რომ ჰქონდა ადგილი, დასტურდება შემდეგი გარემოებით: როდესაც ტაქსი გამოიძახეს, მსჯავრდებულებმა წინდაწინვე იცოდნენ, რომ მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებელი თანხა არ ჰქონდათ და ამის შესახებ ტაქსის მესაკუთრე არ გააფრთხილეს. მართალია, შემდგომში ბ.ბ-ძემ მას მიუტანა თანხის ნაწილი, მაგრამ ეს უკანასკნელი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ჩადენილი დანაშაულის ქმედითი მონანიება, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის ზომის განსაზღვრისას. ასეთივე მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმ ფაქტს, რომ დ.ყ-შვილმა დაზარალებულს დაუტოვა თავისი საკრედიტო ვიზა-ბარათი.

საკასაციო პალატამ, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი ქმედება (თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) გადააკვალიფიცირა, როგორც ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

თელავის სასამართლომ მკვლელობის საქმის განხილვა დაასრულა

თელავის რაიონულმა სასამართლომ სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულების კაკო ბ-სა და ემზარ ხ-ს მიმართ.

საქმე თელავის რაიონში მომხდარ გახმაურებულ შემთხვევას ეხება. მეზობლის მიერ დაუდევრად შენახულ იარაღს მკვლელობა მოჰყვა.

საქმის მასალების მიხედვით, კაკო ბ-ს ბრალად ედებოდა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა. ამ უკანასკნელმა აღნიშნული იარაღი 2010 წელს თელავის რაიონში,ალაზნის პირას არსებულ დ.ბ-ს თხილის ნაკვეთში არსებულ ჯიხურში მიიტანა და შეინახა, თუმცა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შეიძლებოდა იარაღი ვინმეს გამოეყენებინა.

დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ, 2011 წლის 19 სექტემბერს დავით ბ-ს თხილის ნაკვეთში დარაჯად მომუშავე ემზარ.ხ-სა და მუშას, გიორგი .ჭ-ს ურთიერთშელაპარაკება მოუვიდათ, რაც ჩხუბში გადაიზარდა. განაწყენებულმა ემზარ ხ-მ საყარაულო ჯიხურიდან აიღო კაკო ბ-ს მიერ დაუდევრად შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და გიორგი ჭ-ს გულმკერდის არეში ესროლა, რის გამოც იგი გარდაიცვალა.

2011 წლის 5 დეკემბერს თელავის რაიონულმა სასამართლომ კაკო ბ. დამნაშავედ ცნო და მას პირობითი სასჯელი და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით მიუსაჯა.

ხოლო, ემზარ ხ. დამნაშავედ ცნო და მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

მცხეთის რაიონული სასამართლო

სასამართლო მდებარეობს ქ. მცხეთაში სამხედროს ქ.17-ში.

სასამართლოს შენობა აშენებულია 1975-1978 წლებში და იქ 2005 წლამდე განთავსებული იყო მცხეთის ადვოკატურა და სააღსრულებო ბიურო, 2006 წლამდე კი ფუნქციონირებდა მცხეთის პროკურატურა.

2006 წელს, სასამართლო რეფორმის ფარგლებში, განხორციელდა სასამართლო შენობის რეკონსტრუქცია, რის შემდეგაც მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ფუნქციონირება გააგრძელა განახლებულ შენობაში.

შენობის პირველ სართულზე განთავსებულია მისაღები, სადაც ხდება მოქალაქეთა განცხადებების მიღება. შენობაში განთავსებულია ხუთი თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი დარბაზი, რომელთაგან 2 განკუთვნილია სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისათვის, 2 სამოქალაქო და 1 ადმინისტრაციულ საქმეთა განსახილველად.

სასამართლოში ახალი კომპიუტერული პროგრამით ხდება სასამართლო პროცესის სპეციალურ აუდიო-დისკზე ჩაწერა. მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, მხარე პროცესის დასრულებისთანავე, ოპერატიულად მიიღებს აუდიო-დისკს. სხდომის აუდიო ჩაწერის წაკითხვა შესაძლებელია ნებისმიერ მულტიმედიურ კომპიუტერში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. მცხეთის რაიონულ სასამართლოში შეიქმნა სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები: სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული.

მცხეთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობაში შედის ოთხი მაგისტრატი მოსამართლე, რომლებიც პირველი ინსტანციის წესით, ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით, განიხილავენ მათ განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს ახალგორის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში. იმავდროულად, მაგისტრატ მოსამართლეებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, განიხილონ მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმეებიც.